**საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა**

**მოსამართლეობის კანდიდატის** *ალექსანდრე კობაიძის* **შეფასების შედეგი:**

| **მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით** | |
|---|---|
| მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☐ |
| მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☒ |
| მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☐ |

| **მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით** | | |
|---|---|---|
| **კრიტერიუმი** | **მიღებული ქულა** | **მაქსიმალური ქულა** |
| სამართლის ნორმების ცოდნა | 15 | 25 |
| სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია | 15 | 25 |
| წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი | 20 | 20 |
| პროფესიული თვისებები | 15 | 15 |
| აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა | 5 | 10 |
| პროფესიული აქტივობა | 4 | 5 |
| **ქულათა ჯამი** | 74 | 100 |

**სახელი, გვარი:** ია[illegible] ლ[illegible]ა[illegible]ა[illegible]ა[illegible]ა[illegible] ** თ.** [illegible]

**თარიღი :** 29.04.2024 წ.

**თამარ ღვამიჩავა - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **ალექსანდრე კობაიძის შეფასება.**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 3 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 თებერვლის №1/10 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა **ალექსანდრე კობაიძე.**

საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34² მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

კანონის 34¹ მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2024 წლის 27 მარტს, ჩემი მონაწილეობით, საქართველოს იუსტიციის უმარღეს საბჭოში ჩაატარდა კანდიდატის საჯარო მოსმენა.

საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, კანონის 34¹ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კანდიდატი, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატი, შეფასდა - კანონის 35¹ მუხლის მე-15-მე-16 პუნქტების შესაბამისად.

**ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:**

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:**

კანდიდატი გახლავთ 38 წლის. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (ბაკალავრი: შოთა რუსთაველის სახელობის რუსთავის საერო უნივერსიტეტი, 2008წ; მაგისტრი: სდასუ, 2017წ). სპეციალობით მუშაობს დაახლოებით 10 წელია. კერძოდ: 2014 წლიდან დღემდე - არის ადვოკატი; ასევე - მონაწილეობდა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე მომუშავე ა(ა)იპ ორგანიზაციების (მაგ: „ახალგაზრდა უფლებადამცველთა ასოციაცია") მუშაობაში, მათ შორის - დამფუძნებლის/ ხელმძღვანელის რანგში.

კანდიდატის შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები „კანდიდატს" დადებითად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

კანდიდატის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის ინფორმაცია მის საადვოკატო და პოლიტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით. მედიამ გააშუქა ცნობა

ხელმისაწვდომია მისი საჯარო განცხადებები. კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელებით. იგი არის პოლიტიკური პარტია „ხალხის პარტია“ დამფუძნებელი/ წევრი; ასევე - 2014 წელს იყო მერობის კანდიდატი, წარდგენილი პარტიისაგან „სალომე ზურაბიშვილი - საქართველოს გზა“.

კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; აქვს მიმდინარე სესხები, ვადაგადაცილებებით და სამეწარმეო რეესტრში არსებული ინფორმაცია არ არის შესაბამისობაში მის მიერ წარმოდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან, კერძოდ: დეკლარაციაში არ არის მითითებული კანდიდატის სასესხო ვალდებულებების შესახებ, ასევე - მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) პირების რეესტრში მის შესახებ ასახული, გარკვეული ინფორმაცია, კერძოდ:

- დამოუკიდებელ სტუდენტთა ასოციაცია, დირექტორი;

- შპს ალექსანდრე კობაიძის საადვოკატო ბიურო, დირექტორი;

- შპს ჯი ემ თივი, მეწილე, დირექტორი;

- ახალგაზრდა უფლება დამცველთა ასოციაცია;

- ა(ა)იპ კობაიძის საქველმოქმედო ფონდი, დირექტორი;

- შპს ლენდს.ჯი, მეწილე, დირექტორი;

- მოძრაობა სოლიდარობა, დამფუძნებელი;

- შპს იურიდიული ჯგუფი ემ-ეი-პი ლიგალი, მამულაშვილი და პარტნიორები, მეწილე.

ბოლო სამი წლის განმავლობაში, კანდიდატი 31 შემთხვევაში იქნა დაჯარიმებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევების (საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა) ჩადენისათვის; ჯარიმები ვადაგადაცილებითაა გადახდილი, საურავებთან ერთად, ამასთან - 3 შემთხვევაში ჯარიმა გადაუხდელია.

კანდიდატი მხარედ მონაწილეობდა და მონაწილეობს 21 მიმდინარე/ დასრულებულ სამოქალაქო საქმეში; დაზარალებულად ცნობილი სისხლის სამართლის საქმეზე არ ყოფილა. სსიპ ადვოკატთა ასოციაციის ცნობით, მის მიმართ შეფარდებული და გაუქარწყლებელი დისციპლინური სახდელი არ არსებობს.

კანდიდატმა წარმოადგინა სტატია და ნაშრომი, კერძოდ:

- სტატია: „ნარკოტიკული დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დახასიათება“;

- ნაშრომი: „მხარეთა მორიგების სამართლებრივი ბუნება სამოქალაქო სამართალწარმოებაში“.

კანდიდატს, მისივე განცხადებით, მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო სტუდენტურ პროგრამებში და სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში.

კანდიდატს ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა 2014 წელს; 2009-2012 წლებში იყო პრეზიდენტის სტიპენდიანტი. არის გრიგოლ რობაქიძის სახელობის (ალმა-მატერის) სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დოქტორანტი.

კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

,კანდიდატიფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

**კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:**

კანდიდატის საჯარო მოსმენის ამსახველი ვიდეოჩანაწერი ხელმისაწვდომია შესაბამის ლინკზე - https://www.youtube.com/watch?v=L0V0x58o-x8. საბჭოს წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე სამართლებრივი შეკითხვები სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

იუსტრიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებზე, კანდიდატის მიერ დაფიქსირებული პასუხები არ იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული; გარდა ამისა, გამოვლინდა შეცდომები გარკვეულ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. აბსოლუტურ უფლებებთან დაკავშირებით, ადამიანის ძირითადი უფლებების შეზღუდვის წინაპირობებსა და წესზე გაუჭირდა სათანადოდ არგუმენტირებული და სრული პასუხის ჩამოყალიბება. კანდიდატმა ვერ გასცა პასუხი შეკითხვას - სამართლებრივი სახელმწიფოს ნორმატიულ ელემენტებითან დაკავშირებით, რაც გათვალსწინებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლით; მისი მსჯელობა იყო ზოგადი.

**კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:**

კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმები (მოძრაობის წესების დარღვევების თაობაზე) კანდიდატის მიერ გადახდილია კანონმდებლობით დადგენილი ვადების გადაცილებით და დარიცხული აქვს საურავები. იგი გამოირჩევა კორექტულობით და თავდაჭერილობით, შესაბამისად, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების ანალიზის შედეგად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით კანდიდაატი აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული 4-ვე მახასიათებლის (არასამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატისათვის): ა) ,,პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი", ბ) ,,დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა", გ) ,,პიროვნული და პროფესიული ქცევა" და დ) ,,პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია".

**კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით.**

1.კანდიდატის მიერ საჯარო მოსმენის დროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ დასმულ სამართლებრივ შეკითხვებზე პასუხები იყო ძირითადად დაუსაბუთებელი,

დაშვებული იყო შეცდომები და ხარვეზები. უმეტეს შემთხვევაში, მისი პასუხები იყო ზოგადი და ზედაპირული.

კანდიდატის შესახებ არსებული დოკუმენტების და ასევე მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე, ზემოთ აღნიშნული ხარვეზების და შეცდომების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატს, გააჩნია მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მინიმალური ცოდნა. შესაბამისად, კანდიდატი ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) **„სამართლის ნორმების ცოდნის" მახასიათებლის მიხედვით, შევაფასდა 15 ქულით .**

2. საჯარო მოსმენის დროს კანდიდატმა მეტნაკლებად გამოავლინა ანალიტიკური აზროვნების, საკუთარი მოსაზრების დასაბუთების უნარი. შესაბამისად, კანდიდატი ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) **„სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის" მახასიათებლის მიხედვით შეფასდა 15 ქულით.**

3. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შედეგად ვასკვნი, რომ ის აზრს გასაგებად გადმოსცემს, გააჩნია ლოგიკური მსჯელობის უნარი.

საჯარო მოსმენის დროს კანდიდატმა გამოავლინა ზეპირი კომუნიკაციის უნარი, ის გამართულად მეტყველებს, შეუძლია განსხვავებული აზრის მოსმენა. შესაბამისად კანდიდატი ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) **„წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის" მახასიათებლის მიხედვით შეფასდა 20 ქულით .**

4. კანდიდატის თაობაზე მოძიებულ ინფორმაციასა და მის საჯარო მოსმენაზე დაყრდნობით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი არის კორექტული, აქვს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. შესაბამისად, კანდიდატი კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) **„პროფესიული თვისებების" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 15 ქულით .**

5. კანდიდატის თაობაზე მოძიებული ინფორმაციასა და მის საჯარო მოსმენაზე დაყრდნობით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატს გააჩნია თვითგანვითარების უნარი, მოპოვებული ინფორმაციით, კანდიდატს კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, პროფესიულ სასწავლო ღონისძიებაში აქვს მონაწილეობა მიღებული, აქვს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი. კანდიდატი კანონის" 35[1] მუხლის მე 3 პუნქტის „თ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) **„აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის" მახასიათებლის მიხედვით შეფასდა 5 ქულით.**

6. უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი არ ახორციელებს პედაგოგიურ საქმიანობას. კანდიდატი იშვიათად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში.

შესაბამისად, კანდიდატი ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „პროფესიული აქტივობის“ მახასიათებლის მიხედვით შეფასდა 4 ქულით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ ალექსანდრე კობაიძის კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ჯამური შეფასება შეადგენს 74 ქულას.

1. სამართლის ნორმების ცოდნა - 15 ქულა
2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია -15 ქულა
3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი -20 ქულა
4. პროფესიული ოვისებები, 15 ქულა
5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 5 ქულა
6. პროფესიული აქტივობა - 4 ქულა

ქულათა ჯამი 74 ქულა

თარიღი: 29.04.2024 წ.

ხელმოწერა: